ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA010140885169616

№16/61760

15 / მარტი / 2016 წ.

ნინო გვასალია
62007005475
ნინუას ქ. N3

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #85669/12/12 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის შესახებ.

დანართი „ 2" (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ გ.8569/12
„15" 03 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, ნინუას ქუჩა №3-ში (საკ. კოდი №01.12.12.001.160) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სამკერვალო ფაბრიკა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2288930 10.11.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, ნინუას ქუჩა №3-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია ლითონის ღობეები. „კ-კ" ღერძს გარეთ დამატებით მოწყობილია გასასრიალებელი კარები. ასევე „დ-დ ღერძს გარეთ „16-10" მონაკვეთში მოწყობილია ორი კაპიტალური შენობა საქვაბისთვის. „ა-ა" ღერძს გარეთ მოწყობილია ჭები. ნაწილობრივ შეცვლილია კარ-ფანჯრების ნახატი, გაბარიტი და მონაცვლებული აქვთ ადგილი. ასევე ნაწილობრივ გაუქმებულია ფანჯრები და გასაღები კარების ნაცვლად მოწყობილია ასაწევი კარები. ფასადებზე დამატებით მოწყობილია წყლის მილები. შეცვლილია რელიეფის დონე, შესაბამისად „6΄-6΄" ღერძზე „ი-კ" მონაკვეთში მოწყობილია ლითონის კიბე. ნაწილობრივ შეცვლილია გადახურვის მასალა, კერძოდ ადგილებში დამატებულია კარბოლუქსი. ასევე გაზრდილი გადახურვა, რაც მთელს პერიმეტრზე მცირედით ცდება ფასადის კედლებს.

შიდა სივრცეში გაზრდილია ორი ლიფტის გაბარიტები და ერთი ლიფტი გაუქმებულია. $\pm$0.00 ნიშნულზე „ი-ზ" მონაკვეთში „5-5" ღერძზე კიბე მცირედით მონაცვლებულია და დამატებულია ერთი საფეხური. „ზ-ე" მონაკვეთში „3-4" ღერძებში შეცვლილია კიბის ღიობის ფორმა, საფეხურების რაოდენობა და +3.35 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირი. +7.35 ნიშნულზე დამატებულია რიგელები და შეცლილია გადახურვის სიმაღლეები. „14-16" მონაკვეთში „ა-ა΄" ღერძებში გაზრდილია შენობის გაბარიტი.

„16-1" ფასადი: ფასადზე დამატებულია ღიობები გამწოვისთვის.

„კ-ა" ფასადი: „კ-ი" მონაკვეთში ბაქანი გაზრდილია სიგრძეში.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს

№20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ჯეო-ემ-ტექს"-ს, ლაშა ბაგრატიონს, ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, ნინუას ქუჩა №3-ში (საკ. კოდი №01.12.12.001.160) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სამკერვალო ფაბრიკა) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №85669/12 10.03.2015წ.
№86196/12 10.03.2015წ. განცხადებები.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**